

# 2021 წლის საინფორმაციო ფურცელი N2

*არაფორმალური ზრდასრულთა განათლების განვითარებისა და გაძლიერების მხარდაჭერა  
საქართველოში  
Supporting Non-formal Adult Education Development and Strengthening in Georgia*

*(პროექტი ხორციელდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო  
თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) საქართველოს ოფისის ფინანსური  
მხარდაჭერით)*

## სარჩევი

1. ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	3
2. ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	5
3. ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	8
4. ქედის სათემო განათლების ცენტრი -----	11
5. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	12
6. კოდის სათემო განათლების ცენტრი -----	15
7. ჯვარის სათემო განათლების ცენტრი -----	18
8. ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	21
9. ხონის სათემო განათლების ცენტრი -----	22
10. სენაკის სათემო განათლების ცენტრი -----	23
11. ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	26
12. შაუმიანის სათემო განათლების ცენტრი -----	27
13. ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი -----	29



## ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლის აპრილის, მაისისა და ივნისის თვეში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები:

- ❖ მაკიაჟის შემსწავლელი ერთთვიანი კურსი - სწავლა მიმდინარეობდა ერთდროულად 3 ჯგუფში. კურსი დაამთავრა 24-მა მსმენელმა.
- ❖ ბულალტერიის შემსწავლელი 3 თვიანი კურსი- სწავლა მიმდინარეობს 2 ჯგუფში. ამჟამად სწავლობს 16 ახალგაზრდა ქალი.
- ❖ ინგლისური ენის სამთვიანი კურსი (დამწყებთათვის) - კურსზე სწავლობს 12 მოსწავლე, როგორც ბოლნისის სკოლებიდან, ისე დაბა კაზრეთიდან.
- ❖ ინგლისური ენის სამთვიანი კურსი (ელემენტარული) - კურსზე სწავლობს 10 ახალგაზრდა.
- ❖ ჭრა-კერვის შემსწავლელი 3 თვიანი კურსი - სწავლა მიმდინარეობს 2 ჯგუფში. სულ ხელობას ეუფლება 18 ქალი.



- ❖ სუვენირების ქსოვის 3 თვიანი კურსი - კურსზე სწავლობს 13 გოგონა.
- ❖ ლიტერატურული კლუბი - კლუბის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 13 ახალგაზრდა ბოლნისის სხვადასხვა სკოლიდან.
- ❖ სადისკუსიო კლუბი - კლუბის მუშაობაში 13 ახალგაზრდაა ჩართული.
- ❖ გერმანული ენის შემსწავლელი 3 თვიანი კურსი - სწავლა მიმდინარეობს ორ ჯგუფში, მოსწავლეებისა და ზრდასრულებისთვის. გერმანულ ენას ეუფლება 20 ბენეფიციარი.
- ❖ რუსული ენის შემსწავლელი სამთვიანი კურსი - კურსზე 10 მოსწავლე მეცადინეობს.

❖ კომპიუტერების შემსწავლელი 3 თვიანი კურსი - 8 ახალგაზრდა ეუფლება კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს.

### სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულება:

❖ ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა ტურნირი მინი ფეხბურთში. 2021 წლის 2 აპრილს გამოცხადდა მინი ფეხბურთის ტურნირში მონაწილე გუნდების მიღება. მსურველებს საშუალება ჰქონდათ ფეისბუქგვერდის შესაბამის ბმულზე გაევილოთ რეგისტრაცია. სულ დარეგისტრირდა 12 გუნდი. 9 გუნდი ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან (ბოლნისი, სოფელი ქვეში, დაბა კაზრეთი) ხოლო 3 - დმანისის მუნიციპალიტეტიდან. თითოეულ გუნდში თამაშობდა 4 ადამიანი. იმის გამო, რომ გუნდების უმრავლესობა წარმოდგენილი იყო სათადარიგო მონაწილეებით, მონაწილეთა და ასევე მაყურებელთა რიცხვი ორჯერ მეტი იყო ვიდრე რეგისტრირებულა (სულ 92 მონაწილე).

მონაწილე გუნდები: სიონი, კიპერები, ტომი და ჯერი, ბოლნელი, პირველი მერცხალი, ფეოლა, ახალი სკოლა, პელე, ჩერნობილი, ავანგარდი, დმანისელები, ფენიქსი. I, II, III ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ



შესაბამისი საჩუქრები (თასები). ხოლო ყველა მონაწილე გუნდს მადლობის სიგელი.

❖ მაისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ლიდერობა, Team Building. ჩაერთო 12 ახალგაზრდა.

❖ ივნისში ჩატარდა ტრენინგი - ლიდერობა და გუნდური მუშაობა. ტრენინგს დაესწრო 9 ახალგაზრდა.

### სწავლებისა და დასაქმების ცენტრი

2021 წლის მარტის თვეში ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებული სწავლებისა და დასაქმების ცენტრების (LESC) შესარჩევ კონკურსში გაიმარჯვა. გაფორმდა 3 წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება .

*სწავლებისა და დასაქმების ცენტრების შექმნა ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "უნარების გაძლიერებისა და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის" ("Skill Building and Innovative job Opportunities for Regional Development of Georgia") ფარგლებში.*



პროექტის ფარგლებში სამი წლის განმავლობაში ცენტრის ბაზაზე ეტაპობრივად შემუშავდება სასწავლო პროგრამები, ტრენინგები და სემინარები, რომლებიც გაითვალისწინებს როგორც დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, ასევე იმ ადამიანების სურვილებს და საჭიროებებს, ვინც დასაქმების ცენტრს მიმართავს. კარიერის დაგეგმვის კონსულტანტები ადამიანებს დახმარებას გაუწევენ მათი უნარების, ძირითადი ინტერესებისა და გამოცდილების შეფასებაში, პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაში.

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://www.facebook.com/bolnisi.aec>



ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Akhaltsikhe Adult Education Center

## ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში მიმდინარეობდა:

- ❖ გერმანული ენის კურსი
- ❖ ინგლისური ენის კურსი
- ❖ თურქული ენის კურსი
- ❖ ბუღალტერიის კურსი
- ❖ მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვის კურსი
- ❖ გიტარისა და ფანდურის შემსწავლელი კურსი
- ❖ კულინარიის შემსწავლელი კურსი
- ❖ კონდიტერიის შემსწავლელი კურსი
- ❖ აქციებით ვაჭრობის ონლაინ კურსი (კურსი მოიცავ 6 შეხვედრას შემდეგ თემებზე: 1. აქციებით ვაჭრობა 2. სააქციონერო ინდექსები 3. აქციებით ვაჭრობა-ტექნიკური და ფუნდამენტური ანალიზი, 4. აქციებით ვაჭრობის სტრატეგიები 5. აქციების ჰეჯინგი 6. ბნელი ტრეიდინგი )




მიმდინარე კურსებზე ჯამში 92 ბენეფიციარი სწავლობდა.

❖ მეორე კვარტალში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით ადგილობრივ მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან ჩატარდა 2 შეხვედრა(პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით), პირველ შეხვედრა სამუშაო ტიპის შეხვედრა იყო , ხოლო მეორე შეხვედრა ეხებოდა თემას: „ჰაკათონისა და იდეათონის მნიშვნელობა მეწარმეობაში „ **ჯამში 64 მონაწილე.**

❖ DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით ახალგაზრდებთან ჩატარდა შემდეგი შეხვედრები: „იდეის გენერირება და მართვა“ ,, პროექტის წერა& მართვა“ სამაგიდე თამაში- „დაზოგვის თამაში“ **ჯამში 49 მონაწილე**

❖ DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრების ერთობლივი პროექტი „ სწავლა კომიქსებით“. პროექტის ფარგლებში მომზადდება საგანმანათლებლო შინაარსის კომიქსები, რომლებიც დაინერგება ზრდასრულთა განათლების ერთ-ერთ მეთოდად და მოხდება მათი გამოყენება სწავლების პროცესში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის მონაწილეთა ტრენინგები კომიქსების მომზადებაში.

❖ აპრილის თვეში ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში USAID



პროექტი ZRDA-სა და Startup Grind Tbilisi-ს მხარდაჭერით ჩატარდა შეხვედრა მეწარმეებთან, რომელსაც ესწრებოდა 17 მეწარმე და შეხვედრის მიზანი იყო მეწარმეების უკეთ გაცნობა და მათ საჭიროებებსა და გამოწვევებზე საუბარი.

❖ აგრეთვე აპრილის თვეში პროექტ მესხფესტის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მეწარმეებისა და სტარტაპ კვირეულით დაინტერესებული ადამიანებისათვის, რომელსაც ესწრებოდა ჯამში 24 ადამიანი ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებიდან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სტარტაპ კვირეულის შესახებ და გაჟღერდა მათი მოლოდინები სტარტაპ ეკოსისტემის მშენებლობის მიმართ.

❖ პროექტ „მესხფესტის“ ფარგლებში აპრილის თვეში ჩატარდა სემინარი თემაზე „ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები მეწარმეობასა და სტარტაპებში“, რომელსაც უძღვებოდა, TCO-ს მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების სპეციალისტი დავით ჩეჩელაშვილი. შეხვედრას ესწრებოდა 26 ადამიანი, მათ შორის იყვნენ როგორც მეწარმეები სამცხე - ჯავახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან (ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი), ასევე იდეათონით დაინტერესებული ახალგაზრდები. სემინარის ფარგლებში დავით ჩეჩელაშვილმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების შესახებ.

❖ 16, 17, 18 აპრილს პროექტ მესხფესტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ სტარტაპ კვირეული, რომელშიც გადანწილებული იყო თემები დღეების მიხედვით. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა იდეათონიც, რომელის

ფარგლებშიც მონაწილე გუნდებმა იმუშავეს პლატფორმის კონცეფციაზე, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ მეწარმეებსა და სტარტაპერებს პროდუქციის პოპულარიზებასა და ცნობადობის გაზრდაში. დაინტერესებული პირი და იდეათონის მონაწილე 12 გუნდი (თითოეულ გუნდში იყო 3-5 მონაწილე). კვირეულში მონაწილეობა მიიღო 11-მა ორგანიზაციამ, რომლებმაც მონაწილეებს გააცნეს თავიანთი პროექტები და პროგრამები სხვადასხვა საგრანტო და საგანმანათლებლო შესაძლებლობაზე.

კვირეულში მონაწილეობა მიიღო 12-მა ადგილობრივმა მეწარმემ, რომლებმაც გააცნეს თავიანთი პროდუქცია/სერვისი მონაწილეებს და გაუზიარეს წარმატების მაგალითები დამსწრეებს.

#### ლონისძიების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის სესიებიც:

- ❖ მეწარმეობის/სტარტაპერობის მნიშვნელობის გააზრება ლოკალური და გლობალური კონტექსტით
- ❖ ჰაკათონის/იდეათონის მნიშვნელობა და წარმატებული მაგალითები.
- ❖ პროდუქციის/სერვისის პიარი და მისი მნიშვნელობა წარმოების განვითარებაში
- ❖ საინვესტიციო პრეზენტაციისთვის მომზადება (Pitching).

#### კვირეულის სხვადასხვა ეტაპებსა და დღეებს საერთო ჯამში ესწრებოდა 114 მონაწილე.

ივნისის თვეში ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ჩატარდა კავკასიური სახლის მიერ ორგანიზებული შეხვედრა. მოწვეულმა სპიკერებმა დავით ლოსაბერიძემ, ირაკლი ირემადემ და ანა მარგველაშვილმა ისაუბრეს შემდეგ თემებზე:

- ❖ პირველ რესპუბლიკაში ეთნიკური უმცირესობის ჩართულობა
- ❖ სათემო ინიციატივები და სათემო გაერთიანებები საქართველოსა და ევროპაში
- ❖ წარსული და თანამედროვეობა
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობები და მათი როლი

#### შეხვედრას 18 მონაწილე ესწრებოდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ფუნქციონირება დაიწყო, ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბაზაზე შექმნილმა სოციალურმა საწარმომ „კაფე @65„ (ფეისბუქ გვერდის მისამართი - <https://www.facebook.com/Cafe65geo>)



საბოლოოდ, 2021 წლის მეორე კვარტალში, ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრებით, ტრენინგებით და კურსებით სულ 337 ბენეფიციარმა ისარგებლა.

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://www.facebook.com/AECAkhaltsikhe>





ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Chokhatauri Adult Education Center

## ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში 2021 წლის მეორე კვარტალში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

კურსები DVV International-ის მხარდაჭერით

**05.04.2021 – 26.05.2021** - საოფისე კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი - კურსის ფარგლებში ბენეფიციარებმა შეისწავლეს ოპერაციული სისტემა Windows XP; საოფისე პროგრამები: Microsoft Office - Word, Excel, Power Point; ინტერნეტში ნავიგაცია, ინფორმაციის მოძიება, ელფოსტის შექმნა-გამოყენება.

გამოცდა წარმატებით ჩააბარა და სერთიფიკატი მოიპოვა 7 ბენეფიციარმა.

საოფისე კომპიუტერული პროგრამების შესწავლის შემდეგ კომპიუტერში ბენეფიციარებს შეუძლიათ შემდეგი სახის სამუშაოების შესრულება:

- ❖ კომპიუტერთან მუშაობის და მასთან მოპყრობის უნარჩვევები: ფაილები, საქალაქდებები, ინფორმაციის გადაწერა და შენახვა, ინფორმაციის ძებნა კომპიუტერში და სხვა;
- ❖ ნებისმიერი სირთულის დოკუმენტების და საბუთების მომზადება, ამობეჭდვა, დასკანირება;
- ❖ რთული ცხრილების და მონაცემთა ბაზების შექმნა, ცხრილებში საჭირო გამოთვლების წარმოება;
- ❖ პროექტების საჩვენებელი პრეზენტაციების შექმნა და გაშვება;
- ❖ ინტერნეტში კვალიფიციური მუშაობა, ინფორმაციის ძებნა;
- ❖ ელ-ფოსტების მიღება და გაგზავნა, ელ-ფოსტასთან კვალიფიციური მუშაობა
- ❖ ხმოვანი და ვიდეო კომუნიკაციების წარმოება ინტერნეტში და სხვა.

**01.04.2021 – 26.06.2021** - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა - კურსის მსმენელებმა შეისწავლეს სამკერვალო ტექნიკასთან უსაფრთხო მუშაობა, სწორი გვირისტის გავლება, ქსოვილისა და სამოსის შეხამება, სახვადასხვა წვრილმანი აქსესუარის დამზადება, ქალისა და მამაკაცის მარტივი სამოსის შექმნა.

**05.04.2021 – 26.05.2021** - ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი - ჯგუფში შესწავლილი იქნა Starter, Elementary დონე. გამოცდა წარმატებით ჩააბარა და სერთიფიკატი მოიპოვა 5-მა ბენეფიციარმა. სწავლა მიმდინარეობდა თანამედროვე, კომუნიკაციური მეთოდით



შედგენილი სახელმძღვანელოებით, რომლებიც შეიცავდნენ მდიდარი ლექსიკური მარაგის მქონე თემატურ ტექსტებსა და დიალოგებს, გრამატიკულ, სასაუბრო და მოსასმენ სავარჯიშოებს, აუდიო მასალას, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციის გაადვილებას.

**06.04.2021 – 31.05.2021 - სამეწარმეო განათლების შემსწავლელი კურსი** - ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში განხორციელდა კურსი „მეწარმეობის საფუძვლების“ ორთვიანი სწავლება. კურსი გაიარა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 12-მა ბენეფიციარმა. კურსის მსვლელობის დროს ბენეფიციარებმა გაიარეს შემდეგი თემები: მეწარმეობის პორტრეტი; რა არის სტარტაპი?; ბიზნეს იდეების წყაროები; ბაზარი და მომხმარებლების სეგმენტი; მომხმარებელთა მსყიდველობითი სქემა; დისტრიბუციის არხები და მომხმარებლების მოზიდვა; მომხმარებელბთან ურთიერთობა; შემოსავლის ნაკადები და ფასდადების პოლიტიკა; აქტივობები და პარტნიორები; რა არის ხარჯები; ხარჯთაღრიცხვა და ხარჯების ტიპები. ასევე კურსის მსვლელობის დროს იყენებდნენ სხვადასხვა აქტივობებს: პრაქტიკულ სავარჯიშოებს, სახალისო თამაშებს, ქონდათ დებატების ფორმატი, ბენეფიციარებს ეძლეოდათ საშინაო დავალებები სხვადასხვა თემებთან მიმართებაში.

**06.04.2021 – 24.06.2021 - გიტარის შემსწავლელი კურსი** - გიტარის შემსწავლელ 3 თვიან კურსზე ბენეფიციარებმა შეისწავლეს ნოტების ლათინური აღნიშვნა, 7 ძირითადი და 5 დამატებითი ნოტი, თავისუფალ და დახურულ სიმებზე ნოტები, 7 ძირითადი აკორდი და მასში შემავალი ნოტები, 5 კომპოზიცია.

**04.04.2021 – 27.06.2021 - ხატწერის კურსი** - კურსის ფარგლებში ბენეფიციარებმა შეისწავლეს ხატის შესრულება კანონიკისა და წესების დაცვით, ასევე ხატის შესაქმნელად საჭირო საღებავების შერჩევა და შერევა. ფერწერული ხატის დამოუკიდებლად დამზადება კონკრეტული ნიმუშის მიხედვით. კურსი გაიარა 13 ბენეფიციარმა.

**17.05.2021 – 30.06.2021 ხელსაქმე და სუვენირების დამზადების შემსწავლელი კურსი** - კურსის ფარგლებში ბენეფიციარებმა შეისწავლეს მატყლის დამუშავება სველი და მშრალი ტექნიკით. მშრალი ტექნიკით შექმნეს ნახატები და აქსესუარები სხვადასხვა თემაზე. სველი ტექნიკით დამუშავების დროს შექმნეს სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილი, რაც გამოიყენეს ზედა ტანსაცმლისა და აქსესუარების დასამზადებლად. კურსი დაამთავრა 11 ბენეფიციარმა.

**18.04.2021, 22.04.2021. 26.05.2021. 01.06.2021 - ახალგაზრდული პროგრამები** - მე-2 კვარტალში DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა 4 შეხვედრა და აქტივობა ახალგაზრდებთან სხვადასხვა თემატიკაზე (ლიდერობის კულტურა და ეთიკა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განხილვა, დედამიწის დღე). **ჯამში ესწრებოდა 400 ბენეფიციარი.**



ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, DVV International-ის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს “თანამედროვე საქსოვი დაზღვის პროგრამების შესწავლა და მართვა”. პროექტი მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას და თვითრეალიზაციის ხელშეწყობას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ამ მიზნის მისაღწევად ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი გეგმავს ქსოვის სასწავლო კურსის გახსნას, რომელიც აღიჭურვა საჭირო დანადგარებით. ბენეფიციარები შეისწავლიან კომპიუტერულ საქსოვ დასაგაზე ქსოვის სპეციფიკას რითაც შესაძლებლობა ექნებათ წამოიწყონ საკუთარი მცირე ბიზნესი .  
**პროექტის განხორციელების ვადებია 2021 წლის 10 მაისი - 30 ნოემბერი**

**2021 წლის 23-25 მაისს** ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლები მონაწილეობდა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით გამართულ ტრენინგში თემაზე „სტრატეგიული დაგეგმვა, მართვა, გაზიარებული ლიდერობა, კომუნიკაციის ასპექტები“. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ორგანიზაციის განვითარების ხედვისა და მისი ფორმულირებასა და მაგალითებს; სტრატეგიულ დაგეგმვასა და თვითშეფასებას; ორგანიზაციული კულტურისა და კლიმატის მნიშვნელობას; ლიდერობასა და კომუნიკაციის ასპექტებს.

**2021 წლის 31 მაისს** ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში პროფესიული მომზადების პროგრამის - „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ კურსდამთავრებულთა სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. კურსდამთავრებულებს პროგრამის წარმატებით დასრულება მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა ნინო ბაბალაშვილმა.



**2021 წლის 21-23 ივნისს** ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორმა ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ორგანიზებით გამართულ ტრენინგში თემაზე "როგორ დაგეგმოთ / შევიმუშავოთ და განვახორციელოთ არაფორმალური სასწავლო პროგრამა/სასწავლო გეგმა/აქტივობების გეგმა".

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://www.facebook.com/profile.php?id=100009365824663>



## ქედის სათემო განათლების ცენტრი

ქედის სათემო განათლების ცენტრს უკვე საკუთარი შენობა აქვს!

ქედის სათემო განათლების ცენტრში ფონდი შპარკასე საქართველოს მხარდაჭერით მიმდინარეობს ფინანსური განათლების სემინარი.

სემინარის მიზანია მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდებს მიეწოდოს ინფორმაცია ფინანსური წიგნიერების ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ფინანსური განათლება

- ბიუჯეტირება
- ბანკი და საბანკო პროდუქტები
- სავალუტო რისკი
- ინფორმაციის მიღება (ხელშეკრულება)
- სასარგებლო რჩევები

სემინარში მონაწილეებს საჩუქრად გადაეცემათ შესაბამისი ლიტერატურა.

სემინარი გრძელდება მაქსიმუმ 2:30 საათი. (ამ დროში შედის პრე და პოსტ ტესტი) სემინარზე ერთდროულად 25-30 მონაწილეს შეუძლია დასწრება.

ქედის სათემო განათლების ცენტრში DVV International-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს შემდეგი კურსები:

- ინგლისური ენის ონლაინ კურსი - იანვარი - აგვისტო
- ქსოვის ონლაინ კურსი - აპრილი - ივნისი
- ხელსაქმისა და სუვენირების დამზადების ონლაინ კურსი - მარტი - აგვისტო
- მართვის მოწმობის ონლაინ თეორიული კურსი - მარტი - ივლისი
- ვიფსო-კარდონზე მუშაობის კურსი - მარტი - ივნისი
- ლამინატის კურსი - აპრილი - ივლისი

ქედის სათემო განათლების ცენტრში მთელი წლის განავლობაში მიმდინარეობს ახალგაზრდული, კულტურულ-შემეცნებითი და სამოქალაქო აქტივობები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ონლაინ შეხვედრები, რომლის ფარგლებში ხორციელდება ისეთი ტიპის ღონისძიებები, როგორებიცაა: პოეზიის საღამოები; შეხვედრები აგრო ბიზნესთან დაკავშირებით; დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე; სახელმწიფო დროში



დღე; დედამიწის საათი; ბავშვების ციფრული უსაფრთხოება; მიკრომწვანლის წარმოება; ჯარას თაფლისა და ტყემლის წარმოება, შშმ პირთ საერთაშორისო დღე და ა.შ

განხორციელდა 30-მდე სხვადასხვა სახის შეხვედრა.

ქედის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://bit.ly/3qzozT0>




ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Leliani Adult Education Center

## ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

2021 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში DVV International-ის მხარდაჭერით მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- ❖ **05.06.2021- 21.05.2021 - გრაფიკული დიზაინის პორტფოლიოს შექმნის კურსი.** კურსი განკუთვნილია მსმნელებისთვის, ვისაც უკვე ჰქონდა შეხება დიზაინთან და ისწავლა საფუძვლები, თუმცა სამუშაოს დასაწყებად სჭირდება პრაქტიკული გამოცდილება და ძლიერი პორტფოლიო. შეხვედრები განხორციელდა ონლაინ პლატფორმა Zoom-ის საშუალებით და ჩართული იყო ცამეტივე ცენტრი. კურსში მონაწილეობდნენ გრაფიკული დიზაინის კურსის





მსმენელები, რომელიც განხორციელდა ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში.

- ❖ **ივნისი - აგვისტო(მიმდინარე) - WORDPRESS დეველოპერის კურსი.** კურსის განმავლობაში მსმენელები შეისწავლიან მსოფლიოში პოპულარული CMS სისტემის, WordPress-ის ბაზაზე ვებ საიტების შექმნას და მართვას. კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ექნება ინფორმაცია ვებ დეველოპმენტის სფეროში მიმდინარე პროცესების და ტექნოლოგიების შესახებ, ეცოდინება ვებ საიტების შექმნა ვორდპრესის ბაზაზე. იმუშავებს ყველაზე პოპულარული ედიტორის elementor-ის გამოყენებით, შეძლებს ძირითადი პლაგინების დაინსტალირებასა და გამართვას, გააკეთებს SEO ოპტიმიზაციას. შეხვედრები ხორციელდება ონლაინ, პლატფორმა Zoom-ის საშუალებით. კურსში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები.
- ❖ **02.03.2021– 23.04.2021 - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა.**  
კურსის მსმენელებმა შეისწავლეს სამკერვალო ტექნიკასთან უსაფრთხო მუშაობა, სწორი გვირისტის გავლება, ქსოვილისა და სამოსის შეხამება, სახვადასხვა წვრილმანი აქსესუარის დამზადება, ქალისა და მამაკაცისმარტივი სამოსის შექმნა.
- ❖ **12.04.2021 – 12.06.2021 - სამზარეულოს საქმე.** პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლება ეხმარება მსმენელს შეისწავლოს სამზარეულოს სტრუქტურა, ფუნქციონირების პრინციპები, კვების ტექნოლოგიისა და საკვები პროდუქტების წარმოების მეთოდები. კურსდამთავრებულები შეძლებენ სამზარეულოს აღჭურვილობისა და ტექნიკის უსაფრთხო გამოყენებას, პროდუქტის დამუშავებას, მომზადებასა და გაფორმებას დადგენილი ნორმების მიხედვით. კურსში აგრეთვე შედის სერვირება.
- ❖ **ივნისი- აგვისტო (მიმდინარე) - IT-კომპიუტერის შემსწავლელი კურსი.** კურსის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან საოფისე პროგრამების გამოყენებას, ტექსტური დოკუმენტის მომზადებას, მონაცემების დამუშავებას ელ. ცხრილების მეშვეობით, თემატური პრეზენტაციების მომზადებას, ელ.ფოსტის გამოყენებას, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება-გადმოწერასა და მოწყობილობების ქსელში ჩართვას/პერიფერიულ მოწყობილობებთან დაკავშირებას.
- ❖ **აპრილი, მაისი, ივნისი - სემინარები და კონსულტაციები.** სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობს გელა თედევი და მისი ნაკვეთები სადემონსტრაციო-საკონსულტაციო ფუნქციასაც ითავსებს.  
პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სემინარები შემდეგ თემებზე:
  - 1) საველე კონსულტაცია მცენარეთა მავნებლებზე;
  - 2) ღია გრუნტზე თანამედროვე ბოსტნეული კულტურების შერჩევის კონსულტირება;
  - 3) საველე კონსულტირება მავნებელ-დაავადებებზე ხეხილის ბაღში;
  - 4) მწვანე სცვლის ტექნიკის სწავლება ხეხილის ბაღში (საველე).

სემინარებსა და კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდნენ ლაგოდების თემში მცხოვრები ფერმერები.

- ❖ **აპრილი - მაისი** - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კონსულტაციები და ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:
  - კონსულტაცია მიწირევისტრაციის საკითხებზე (ZOOM);
  - სათემო მობილიზაცია და ლიდერობა (ZOOM);
  - ფინანსური განათლების სემინარები;
  - კონსულტაცია უძრავი ქონების სამართლებრივ დავებზე;
  - დასაქმების კომპეტენციები,, ცოდნა უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება“;
  - საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის.
- ❖ **თებერვალი-ივნისი - ინგლისური ენის კურსი(აბიტურიენტებისთვის)**
- ❖ **მაისი- ივნისი - ანიმაციის შექმნის კურსი.** კურსის მიზანია მოზარდებმა შექმნან ანიმაციის პერსონაჟები, ვიზუალურად განუსაზღვრონ ხასიათი და ფურცლიდან ნახატები გადაიტანონ კომპიუტერში, ფოტოშოპის გამოყენებით აქციონ ანიმაციად და მიიღონ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები. კურსში მონაწილეობდნენ ლელიანის თემში მცხოვრები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები და მათი მშობლები.
- ❖ **ივნისი - ნოემბერი** - ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, DVV International-ის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „**უნარები წარმატებისთვის - ზრდასრულთა განათლების ცენტრები ახალგაზრდების დასაქმების ხელშესაწყობად**“. პროექტი ხორციელდება ზრდასრულთა განათლების 13 ცენტრში. პროექტის მიზანია ზრდასრულთა განათლების და სათემო ცენტრების ახალგაზრდული პროგრამის ინსტიტუციური განვითარება ახალგაზრდებში თანამშრომლობითი და მომავლის კომპეტენციების უნარების განვითარების მხარდასაჭერად. ტრენინგის მონაწილეები მოემზადებიან, როგორც კარიერული მენტორები სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობით. პროექტის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდება შემდეგი კურსები:
  - 1)პრეზენტაციის მომზადება.
  - 2)კონტენტმენეჯმენტი
  - 3)ციფრული პროექტების მართვა.
 პროექტში ახალგაზრდების კვლევის შედეგად გამოვლენილი ინტერესები იქცევა ცენტრების ახალგაზრდული მიმართულებების აქტივობებად და სამომავლო საპროექტო იდეებად. სამი ახალგაზრდა გაივლის სტაჟირებას ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში, მომზადდება პროგრამის რესურსები და პრეზენტაციები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, რაც ახალგაზრდებში საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე იქნება მიმართული. ტრენინგები და აქტივობების 90% ჩატარდება



პლატფორმა ZOOM- ის საშუალებით. პროგრამა ხორციელდება საქართველოში არსებულ ზრდასრულთა განათლებისა და სათემო ცენტრებში.

- ❖ **მაისი-ივნისი** - კულტურული და სპორტული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ნარდის ტურნირი და მხიარული სტარტები.
- ❖ **4 ივნისი** - ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ კურსდამთავრებულთა სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. კურსდამთავრებულებს პროგრამის წარმატებით დასრულება მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა ნინო ბაბალაშვილმა. საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ და კურსდამთავრებულებს ასევე მიულოცეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ კახა ჯამბურია და მერმა ჯონდო მდივნიშვილმა.



ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია:  
[https://www.facebook.com/LelianiAEC/?ref=page\\_internal](https://www.facebook.com/LelianiAEC/?ref=page_internal)



**კოდის სათემო განათლების ცენტრი**  
**Koda Community Education Center**

## კოდის სათემო განათლების ცენტრი

კოდის სათემო განათლების ცენტრში 2021 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:



❖ **2 აპრილი - ტურისტული გამოფენა.** კოდის სათემო განათლების ცენტრმა 2 აპრილს მონაწილეობა მიიღო ტურისტულ გამოფენაზე, რომელიც გაიმართა რუსთავის პარკში. ცენტრმა გამოფენაზე წარადგინა, როგორც ხელნაკეთი ნივთები, ასევე ტრადიციული კულინარიული ნაწარმი.

❖ **01.02.2021-01.05.2021 - შედულების კურსი.**

❖ **9 აპრილი - ფილმის ჩვენება-დისკუსია.** კოდის სათემო განათლების ცენტრში გაიმართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება-დისკუსია. აქტივობაში ჩაერთვნენ კოდის ახალგაზრდული კლუბის წევრები, ნახეს ფილმი შინდისის გმირები. ფილმმა ძალიან დიდი ემოციები გამოიწვია, როგორც დევნილ, ასევე ადგილობრივ ახალგაზრდებში. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 30 ახალგაზრდა.



❖ **16 აპრილი - ტრენინგი „ნარჩენების მართვა“/გამწვანების აქცია.**

16 აპრილს კოდის სათემო განათლების ცენტრში გაიმართა თემატური შეხვედრა „ნარჩენების მართვა“, შეხვედრის შემდეგ კოდის სათემო განათლების ცენტრმა რეინჯერებთან ერთად ახლად აშენებულ ამფითიატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოაწყვეს გამწვანების აქცია.

❖ **01.04.2021-30.06.2021 - ფსიქოლოგის კონსულტაცია.** აპრილის თვიდან დაიწყო ფსიქოლოგის კონსულტაციები. ტარდება როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები. ფსიქოლოგთან შეხვედრებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ჩართული იყვნენ როგორც ახალგაზრდები, ასევე ზრდასრულები. ფსიქოლოგის კონსულტაცია აპრილიდან ივნისის ჩათვლით გაიარა 192-მა მენეფიციარმა.

❖ **01.04.2021-30.06.2021 - გელ-ლაქის კურსი;**



❖ **01.03.2021-31.12.2021 - მცირე ბიზნესის კურსი;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - შინმოვლის კურსი;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ტიხრული მინანქრის კურსი;**

❖ **01.03.2021-01.09.2021 - ბაღის დიზაინის კურსი;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ინგლისური ენის გაკვეთილები ბავშვებისთვის;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ქართული ფოლკლორის შემსწავლელი კურსი;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ბულალტერიის კურსი;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ექიმის კონსულტაცია;**

❖ **01.03.2021-31.12.2021 - ბავშვთა პროგრამა.** მაისიდან დაიწყო ბავშვთა პროგრამის მე-2 ჯგუფი. ჯგუფში ჩართულია 20 ბავშვი. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობებში: ხატვა, ძეგლვა, მულტიპლიკაციური ფილმების ყურება, ზღაპრების და ლიტერატურის კითხვის დღეები და სხვ., ბავშვების ასაკი 4 წლიდან 12 წლამდეა.



- ❖ **01.03.2021-31.12.2021 - ახალგაზრდული კლუბი.** ივნისიდან დაიწყო ახალგაზრდული კლუბის მე-2 ჯგუფის ფუნქციონირება. ახალგაზრდები კურსის ფარგლებში იღებენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას, გეგმავენ და ახორციელებენ დასუფთავების აქცია-კამპანიებს, ასევე აწყობენ ლაშქრობებს, უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, აწყობენ ფილის ჩვენებებს. ჯგუფში 30 მონაწილეა.
- ❖ **01.04.2021-31.05.2021 - რუსული ენის კურსი;**
- ❖ **01.04.2021-31.05.2021 - კურსი - „მეწარმეები ტურისტულ ბიზნესში“.**
- ❖ **01.04.2021-31.05.2021 - მეფუტკრეობის კურსი** (კურსი ხორციელდება წინწყაროში, სათემო ფონდ „კოდორი 2013“-ში);
- ❖ **01.04.2021-31.05.2021 - ჩანთებისა და აქსესუარების კურსი** (კურსი ხორციელდება წინწყაროში, სათემო ფონდ „კოდორი 2013“-ში);
- ❖ **01.04.2021-31.05.2021 - ოფის-მენეჯერის კურსი** (კურსი ხორციელდება წინწყაროში, სათემო ფონდ „კოდორი 2013“-ში);
- ❖ **01.04.2021-31.05.2021/ 01.05.2021-30.06.2021 - თექის კურსი** (კურსი ხორციელდება წინწყაროში, სათემო ფონდ „კოდორი 2013“-ში);
- ❖ **01.05.2021-30.07.2021 - ფართო პროფილის და სარემონტო სამუშაოების კურსი;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - კერვის კურსი;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - მაკიაჟის შემსწავლელკი კურსი;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - ცენტრალური გათბობის დამონტაჟების კურსი;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - ტურიზმის კურსი** (გავიცნოთ ჩვენი მხარე);
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - COVID 19 -ის შემდგომი ემოციების მართვის კურსი.**
- ❖ **01.04.2021-31.07.2021 - ინგლისურის კურსის III -დონე;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - სამოქალაქო განათლების კურსი;**
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - ფეხსაცმელების კერვის კურსი;**
- ❖ **01.04.2021-30.05.2021, მე-2 ჯგუფი 01.06.2021-30.08.2021 - ფინანსური წიგნობრობის კონსულტაცია.** ფინანსური წიგნობრობის კონსულტაციები მიმდინარეობდა თემის მოსახლეობის მოსახლეობის მოთხოვნით. პირველი ჯგუფი მიმდინარეობდა წინწყაროში, სათემო ცენტრ, „კოდორი 2013“-ში, ხოლო მეორე ჯგუფი კოდის თემში, კოდის სათემო განათლების ცენტრში. პირველ ჯგუფში ჩაერთო 96 ბენეფიციარი. მე-2 ჯგუფი არის 3 თვიანი. ფინანსური წიგნობრობის ცოდნა თემის მოსახლეობაში მოთხოვნადია, რადგან საჭიროა ბანკებთან ურთიერთობების ცოდნა.
- ❖ **01.05.2021-30.06.2021 - სათამაშოების ქსოვის კურსი;**
- ❖ **01.04.2021-30.05.2021 - ამფითიატრის გახსნის რეპეტიციები**
- ❖ **04.06.2021 - ამფითიატრის გახსნა.** კოდის სათემო განათლების ცენტრში DVV International-მა განახორციელა პროექტი: „იძულებით გადაადგილებული პირების ეკონომიკური და სოციალური ჩართულობა კავკასიაში“, რომელიც დაფინანსებული იყო GIZ-ის მიერ. პროექტით კოდის დევნილთა დასახლებაში, კოდის სათემო განათლების ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა ამფითიატრი, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა 2021 წლის 4 ივნისს. ამფითიატრის გახსნისთვის მომზადდა სპექტაკლი, რომელიც დაიდგა რეჟისორ თამარ ბართაიასა და მსახიობ ანა სანაიას მიერ და მონაწილეობა მიიღეს პროექტში შექმნილმა ქალთა და ახალგაზრდული კლუბის წევრებმა.

გახსნას ესწრებოდნენ GIZ-ისა და DVV International-ის წარმომადგენლები, ასევე კოდის თემში მცხოვრები ადამიანები. გახსნის ღონისძიებას დაესწრო 160 ბენეფიციარი.

❖ **28.06.2021- საზაფხულო ღონისძიება.** კოდის სათემო განათლების ცენტრში DVV International-მა განახორციელა პროექტი: „იძულებით გადაადგილებული პირების ეკონომიკური და სოციალური ჩართულობა კავკასიაში“, რომელიც დაფინანსებული იყო GIZ-ის მიერ.

პროექტის ფარგლებში კოდის ქალთა და ახალგაზრდული კლუბის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში აშენებულ ამფითიატრში 28 ივნისს ერედვის კულტურის სახლმა კოდის სათემო განათლების ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატარა საზაფხულო ღონისძიება.

ჩატარებულმა ღონისძიებამ და ამფითიატრმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ღონისძიებას დაესწრო 200 ბენეფიციარი.



კოდის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://bit.ly/2TEYpp7>



## ჯვარის სათემო განათლების ცენტრი

აპრილი- ივნისის პერიოდში ცენტრმა გეგმის მიხედვით გააგრძელა მუშაობა. კვლავ პრობლემად რჩება კოვიდ პანდემია. ჰქონდათ ინფიცირების შემთხვევებიც, თუმცა ცენტრის

სრულად დაკეტვის საჭიროება არ დამდგარა და კვლავ გრძელდება აქტივობების დათ პროგრამების განხორციელება რეგულაციების სრული დაცვით ოფისში.

„არაფორამლური განათლება დევნილი და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის“ - კურსები DVV International-ის მხარდაჭერით:

- ❖ **01.04.2021-01.07.2021 - შედეგების კურსი.** ჯგუფში ირიცხება 10 მონაწილე. ათივე არის მამაკაცი. მსმენელებს შორის არიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ისინი ძირითადად გადიან პრაქტიკულ სწავლებებს, რაც უფრო საინტერესოს და სასარგებლოს ხდის პროცესს. აღნიშნავენ, რომ ასეთ პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებული გაკვეთილები აძლევთ მათ შესაძლებლობას მოკლე დროში დაეუფლონ პროფესიას, გაიუმჯობესონ ცოდნა და გახდნენ კონკურენტუნარიანები შრომის ბაზარზე.
- ❖ **02.04.2021- 02.07.2021 - ჭრა-კერვის სასწავლო კურსი.** ჯგუფში ირიცხება 10 მონაწილე. ათივე ქალი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ცენტრში. მსმენელები გადიან თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს. პროფესიის დაუფლება მათვის მნიშვნელოვანია, რადგან გეგმავენ ამ მიმართულებით დასაქმებას, ასევე სურთ მიღებული ცოდნა გამოიყენონ პირად საქმიანობაში.
- ❖ **02.04.2021-02.06.2021 - სტილისტის სასწავლო კურსი.** ჯგუფში ირიცხებოდა 10 მონაწილე. ათივე იყო ქალი. მსმენელები აღნიშნავენ, რომ მათვის უდიდესი დახმარებაა ამ კურსების შეთავაზება. რადგან ეს არის ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესია შრომის ბაზარზე და დასაქმების მეტი შანსი აქვთ. ასევე მოსწონთ ჩვენს მიერ შეთავაზებული სწავლება კეთების მეთოდი. რადგან თვლიან, რომ ასე უკეთ და მოკლე დროში ახერხებენ პროფესიას დაეუფლონ.
- ❖ **03.04.2021-03.07.2021 - ქსოვა- ქარგვის სასწავლო კურსი.** ჯგუფში ირიცხება 10 მონაწილე. ათივე ქალბატონი. მსმენელები აღნიშნავენ, რომ ერთადერთი ადგილია, სადაც შეუძლიათ ამ პროფესიას დაეუფლონ. გეგმავენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ხელნაკეთი ნივთების შექმნისთვის. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ეს კურსი აძლევს მათ როგორც ცოდნის მიღების შესაძლებლობას, ასევე რელაქსაციის საშუალებას. ეცნობიან ერთმანეთს, იჩენენ ახალ მეგობრებს. დროს ატარებენ სასიამოვნოდ და სასარგებლოდ.
- ❖ **05.04.2021-05.07.2021 - თექის სასწავლო კურსი;**
- ❖ **06.04.21-06.06.21 - მანიკურის სასწავლო კურსი;**
- ❖ **05.05.2021-30.06.2021 - ოფისმენეჯერის სასწავლო კურსი;**
- ❖ **14.05.2021-31.07.2021 - სარემონტო სამუშაოების სასწავლო კურსი;**
- ❖ **15.05.2021-31.07.2021 - ღებვის სასწავლო კურსი;**
- ❖ **15.05.2021-31.07.2021 - კულინარიის სასწავლო კურსი.** სასწავლო კურსზე სწავლებას გადის 10 მსმენელი. მათ შორის არიან, როგორც ახალგაზრდები ასევე ზრდასრულები. მათი ნაწილი გეგმავს მიღებული ცოდნა დასაქმებისთვის გამოიყენოს, ხოლო ნაწილის სურვილია მიღებული ცოდნა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ❖ **02.06.2021-02.09.2021 - კომპიუტერის და ოფისმენეჯერის კურსი.**





**05-06.2021-05.09.2021 - ცეკვის კურსი.** სასწავლო კურსზე სწავლებას გადის 10 მსმენელი. ათივე არის ქალბატონი. სხვადასხვა ასაკის. სასწავლო კურსი მოიცავს აერობიკის ელემენტებს, ასევე სამეჯლისო ცეკვების ილეთებს. მსმენელები აღნიშნავენ, რომ პირველი შემთხვევაა დასახლებაში როცა არსებობს ზრდასრული ქალებისთვის ცეკვის კურსი. ეს არის საუკეთესო საშუალება ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ფიზიკური და სულიერი რეაბილიტაციისთვის. კურსზე სწავლების მოთხოვნა არის მაღალი. მსმენელები გამოხატავენ უდიდეს მადლიერებას.

### საჯარო შეხვედრები და დისკუსიები

**„9 აპრილი და მისი როლი საქართველოს განვითარებაში“, „მეფუტკრეობა- სიახლეები და გამოწვევები“, „კოვიდ პანდემია- მისი გავლენა რეგიონზე“.** - ცენტრის მიზანია ყოველთვიურად მოსახლეობას შესთავაზოს მათთვის საინტერესო საკითხებზე საჯარო შეხვედრები. შეხვედრაზე განხილული იყო 9 აპრილის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. მსმენელები გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას, აკეთებდნენ ანალიზს და ავლებდნენ პარალელს. მეფუტკრეობის თემაზე შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, შეხვედრას უძღვებოდა მოწვეული ტრენერი, რომელმაც დეტალურად აუხსნა მათ ამ სფეროში არსებული სიახლეები, ერთობლივად განიხილეს არსებული გამოწვევები. ისაუბრეს შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე. კოვიდ პანდემიაზე კიდევ ერთხელ მოხდა ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივებისთვის. განხილული იყო ამ მიმართულებით თემში შექმნილი ვითარება. ხაზი გაესვა ვაქცინაციის მნიშვნელობას და აუცილებლობას. შეხვედრებს სულ დაესწრო 39 მონაწილე.

### ახალგაზრდული პროგრამები

**ტრენინგი თემაზე: „კიბერუსაფრთხოება“, აღინიშნა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე, შედგა ახალგაზრდებთან საკოორდინაციო შეხვედრა, აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო დღე.**

### „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“

2020 წლის დეკემბრის თვეში ჯვარის სათემო განათლების ცენტრმა მიიღო დაფინანსება პროექტის განსახორციელებლად, არასამთავრო ორგანიზაციისგან PEOPLE IN NEED (PIN). პროექტის მიზანს წარმოადგენს ქ. ჯვარში და მის მიმდებარე თემში მცხოვრები 15-18 წლამდე ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების ამაღლება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, სამოქალაქო საზოგადოებაში მათი ჩართულობის გაზრდა. გამოყენებულია OWIS


საგანმანათლებლო მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს დოკუმენტური ფილმის ჩვენებებს და დისკუსიას, რომელიც ასახავს უახლოესი ისტორიის აქტუალურ საკითხებს. ფილმის ჩვენების შემდეგ იმართება დისკუსია და ტარდება თემატური სავარჯიშოები. პროექტში ჩართული არიან ქ. ჯვარის #1,2,3,4 საჯარო სკოლის და ჩქვალერის თემის სკოლის მოსწავლეები. სულ 25 მონაწილე.





„მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ - მხარდამჭერი/დონორი : GIZ, Dvv-International.

პიროვნული განვითარების ტრენინგები ქალთა და ახალგაზრდული კლუბის წევრებისთვის. ტრენინგ კურსები თემაზე: „ჩვენი პროექტის ისტორია, მიღებული გაკვეთილები და წარმატებული მაგალითები, მდგრადი განვითარების მიზნები და გენდერული საკითხები, როგორ იმუშავებენ ქალთა და ახალგაზრდული კლუბები პროექტის დასრულების შემდეგ? მიმართულებებისა და აქტივობების დაგეგმვა“.



ჯვარის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია -

<https://www.facebook.com/jvari.cec>



## ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრში 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- ჭრა-კერვის კურსი;
- გალობა, ქართული სიმღერის კურსი;
- მეფუტკრეობის კურსი;
- ფესხაცმლის დიზიანის (კერვა) კურსი;
- ხალხური საკრავების კურსი;
- თექის კურსი;

- ავტომანქანის მართვის თეორიის შესწავლის კურსი;
- საფინანსო განათლების კურსი;
- კოვიდის საწინააღმდეგო სემინარები ექიმებისთვის;
- C ჰეპატიტისა და აივ ინფექციის გამოვლენის აქცია;
- ბროწეულის ნერგების დარგვის აქცია ისლარის ეკლესიის ეზოში;
- ჯიზის კალენდრების რეალიზაციით დახმარება ოჯახებს.

პირველ და მეორე კვარტალში ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრით ისარგებლა 551-მა ბენეფიციარმა.

ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://bit.ly/3AxnCT1>



## ხონის სათემო განათლების ცენტრი

ხონის სათემო განათლების ცენტრში 2021 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- გერმანული ენის კურსი;
- ინგლისური ენის კურსი;
- რუსული ენის კურსი;
- ბიზნესის მენეჯმენტის კურსი;
- ოფისის მენეჯმენტის კურსი;
- ტურიზმის კურსი;
- კომპიუტერული პროგრამების კურსი;
- ელექტრული შედუღების კურსი;
- ფსიქოლოგის კონსულტაციები;
- სამართლებრივი კონსულტაციები;
- სხვა ტრენინგები და შეხვედრები.

მეორე კვარტალში ხონის სათემო განათლების ცენტრით ისარგებლა 582-მა ბენეფიციარმა. ხონის სათემო განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდის მისამართია - <https://bit.ly/36iYLEU>



## სენაკის სათემო განათლების ცენტრი

აპრილი - ივნისის პერიოდში სენაკის სათემო განათლების ცენტრმა გეგმის მიხედვით გააგრძელა მუშაობა. ცენტრში აქტივობები მიმდინარეობს რეგულაციების სრული დაცვით.

კურსები DVV International-ის მხარდაჭერით

- 01.04.2021-01.07.2021 - კომპიუტერული ბუღალტერიის კურსი. მსმენელებს შორის არიან სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები. ბენეფიციარები ძირითადად

არიან მოქმედი ბუღალტრები, რომლებიც ცდილობენ აიმაღლონ უნარები და ცოდნა თანამედროვე ბუღალტერიაში. ბაზარზე.

- **01.04.2021- 01.06.2021 - ჭრა-კერვის სასწავლო კურსი.** ჯგუფში ირიცხება 10 მონაწილე. ათივე ქალი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ოფისში. მსმენელები გადიან თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს. ბენეფიციარებს აქვთ კარგი შესაძლებლობა დასაქმდნენ ფოთის და ქობულეთის სამკერვალო ფაბრიკებში.
- **01.04.2021-01.06.2021 - სტილისტის სასწავლო კურსი.** ჯგუფში ირიცხებოდა 12 მონაწილე. ყველა იყო ქალი. ეს არის ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესია შრომის ბაზარზე და დასაქმების მეტი შანსი აქვთ. (კურსი მიმდინარეობდა სალონში „ახალი სტილში“.)
- **01.04.2021-01.06.2021- მაკიაჟის კურსი.** ჯგუფში ირიცხება 10 მონაწილე. ათივე ქალბატონი. მსმენელები აღნიშნავენ, რომ ერთადერთი ადგილია, სადაც შეუძლიათ ამ პროფესიას დაეუფლონ. გეგმავენ მიღებული ცოდნა დასაქმების და პირადი გამოყენებისათვის. (კურსი მიმდინარეობდა სალონში „ახალი სტილში“.)
- **01.04.2021-01.06.2021 - თექის სასწავლო კურსი.**
- **01.04.2021-01.06.2021 - მანიკურის სასწავლო კურსი.** (კურსი მიმდინარეობდა სალონში „ახალი სტილში“.)
- **01.04.2021-30.06.2021 - ღონისძიების ორგანიზატორის კურსი.** ჯგუფში ირიცხებოდა 10 მონაწილე. კურსი ჩატარდა ოფისში. მონაწილეები გაეცნენ ღონისძიების ორგანიზატორისთვის საჭირო უნარებს და დაგეგმეს და ჩაატარეს ფოლკლორის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სენაკში მოქმედმა ფოლკლორულმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.
- **01.04.2021-30.06.2021 - სარემონტო სამუშაოების სასწავლო კურსი;**
- **01.04.2021-30.06.2021 - ელექტრომემონტაჟის სასწავლო კურსი;**
- **01.04.2021-01.07.2021 - კულინარიის სასწავლო კურსი.** სასწავლო კურსზე სწავლება გაიარა 10 მსმენელმა. მათ შორის არიან, როგორც ახალგაზრდები ასევე ზრდასრულები. მათი ნაწილი გეგმავს მიღებული ცოდნა დასაქმებისთვის გამოიყენოს, ხოლო ნაწილის სურვილია მიღებული ცოდნა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- **01.04.2021-01.07.2021 - კომპიუტერული ქსელები;**
- **01-04.2021-01.07.2021 - მეფუტკრეობის კურსი;**  
საჯარო შეხვედრები და დისკუსიები
- „კოვიდ პანდემია- მისი გავლენა რეგიონზე“. „გამჭვირვალე ბიუჯეტირება“, „მიმდინარე პროექტები“, „სენაკის სოციალური პროგრამები“ „ჩართულობითი ბიუჯეტირება“.
- **01.04-30.06 - ტრენინგი თემაზე: „კიბერუსაფრთხოება“,** აღინიშნა დევნილთა უფლებების მსოფლიო დღე, შედგა ახალგაზრდებთან საკოორდინაციო შეხვედრა, აღინიშნა ბავშვთა საერთაშორისო დღე.



- **23-25.04.2021** - ტრენინგ კურსები თემაზე: „ჩვენი პროექტის ისტორია, მიღებული გაკვეთილები და წარმატებული მაგალითები, მდგრადი განვითარების მიზნები და გენდერული საკითხები, როგორ იმუშავებენ ქალთა და ახალგაზრდული კლუბები პროექტის დასრულების შემდეგ? მიმართულებებისა და აქტივობების დაგეგმვა“ - ტრენინგები ჩაუტარდათ ქალთა და ახალგაზრდული კლუბის წევრებს. სულ დაესწრო 30 მონაწილე. პროექტის მონაწილეებმა შეაჯამეს განვლილი საქმიანობა, დასახეს სამომავლო გეგმები და მიმართულებები. პროექტის ფარგლებში მათ ასევე იმუშავეს სათემო ინიციატივებზე, რომელიც წარუდგინეს დონორს. მათი განაცხადი დაფინანსდა და ცენტრის ირგვლივ მოეწყო ამფითეატრი და სკვერი. ამ სივრცით სარგებლობა შეუძლია თემის ყველა მაცხოვრებელს.

მოსახლეობა გამოხატავს უდიდეს მადლიერებას. პროექტის მონაწილეები კი მოხარული არიან, რომ შეძლეს თემის საჭიროების მოგვარება. მომავალშიც გეგმავენ გაგრძელონ სხვადასხვა საჭიროებებზე მუშაობა და მოგვარების გზების მოძიება.



- **01.04-31.12 2021** - სამედიცინო კონსულტაციები. სამედიცინო კონსულტაციები ის აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სენაკის სათემო განათლების ცენტრში. კონსულტაციებს ახორციელებს ცნობილი თერაპევტი. ის უწევს კონსულტაციებს, სვამს დიაგნოზს, აძლევს რჩევას და მიმართულებას ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე ადამიანებს.

სენაკის სათემო განათლების ცენტრის ვებ-გვერდის მისმართა - <https://bit.ly/3AAG8tR>



ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი  
Ambrolauri Adult Education Center

## ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

2021 წლის აპრილი - მაისის პერიოდში ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

- **30.05.2021** - ტრენინგი „ყალბი ინფორმაციისა და ვიზუალური მანიპულაციის გადამოწმების ხერხები“. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ წყაროების, სოც.მედია ანგარიშებისა და ვიზუალური მანიპულაციების გადამოწმების ხერხებს და ისწავლეს გეოლოკაციის გამოყენება პრაქტიკული დავალებებით. მხარდამჭერი: მედიის განვითარების ფონდი, ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ახალგაზრდული კლუბი.
- **18.06.2021** - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ბატონი ჰუბერტ ქნირშის ვიზიტი ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში. ბატონი ჰუბერტი გაეცნო ცენტრის საქმიანობას, რომელიც გერმანიის მთავრობის დაფინანსებით და DVV Internationali საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ხორციელდება.
- **19.06.2021** - ტრენინგი „ახალგაზრდების მონაწილეობა და ჩართულობა“. ტრენინგი წარმართაჰიბრიდულ რეჟიმში, პირისპირ და ზუმის მეშვეობით. მიზნად ისახავს მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების გაძლიერებას ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში. პროექტი ხორციელდება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფეისბუქ ჯგუფის მისამართია - <https://www.facebook.com/groups/692071420959254>



## შაუმიანის სათემო განათლების ცენტრი

შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში აპრილი - ივნისის პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი კურსები და აქტივობები:

### კურსები DVV International-ის მხარდაჭერით

- **01.06.2021-31.07.2021 - ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელი კურსი.** 2021 წლის 1-ლი აპრილიდან შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში განახლდა ცეკვის უფასო კურსი, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია სოფელ შაუმიანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ მოზარდებში. კურსი შედგება ერთი ჯგუფისგან. ტრენერი: როინი დალაქიშვილი, შეხვედრები ტარდება კვირაში ორჯერ, კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.
- **01.05-30.06.2021 - გელ-ლაქის კურსი (2 ჯგუფი);**
- **01.06.2021-31.07.2021 - ვიზაჟის კურსი.** კურსს გადის სხვადასხვა ასაკის 10 ბენეფიციარი, ყველა არის ქალი. ისინი ეუფლებიან მაკიაჟის ხელოვნებას. კურსის დასრულების შემდეგ შეძლებენ გააკეთონ, როგორც დღის, მსუბუქი მაკიაჟი, ასევე სადღესასწაულო, საღამოს მაკიაჟი.
- **02.05.2021-30.06.2021 - ხელსაქმის (ქსოვის) კურსი.** კურსის მსმენელები ეუფლებიან თოჯინების ქსოვის ტექნიკას. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ, აპირებენ მიღებული ცოდნით გააგრძელონ საქმიანობა და ჰქონდეთ პირადი შემოსავალი, რადგან ბაზარზე მოთხოვნადი გახდა ხელნაკეთი სათამაშოები.
- **05.05.2021 - 30.06.2021 - ხელნაკეთი სამკაულების კურსი;**
- **04.05.2021 - 31.07.2021 - კერვის კურსი.** (კურსი მიმდინარეობს ხიხანის სათემო სახლში.)
- **ახალგაზრდული აქტივობები - 2021 წლის 1-ლი ივნისიდან შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში მიმდინარეობს ახალგაზრდული აქტივობების უფასო**





კურსი, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია სოფელ შუამიანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებში. მათ უტარდებოდათ პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები, მოაწყვეს სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ასევე აქტიურად არიან ჩართული პროექტების მოძიებასა და შექმნაში. კურსი შედგება ერთი ჯგუფისგან. ტრენერი: ლილი მელანაშვილი, ასისტენტი: ქეთევან ოქროპირიძე. შეხვედრები ტარდება კვირაში ორჯერ, კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.

- **01.05.2021-30.06.2021 - მეფუტკრეობის კურსი;**



- **01.04.2021-30.05.2021 - პირველადი დახმარების კურსი;**
- **01.06.2021-31.07.2021 - გიტარის კურსი;**
- **01.04.2021-30.06.2021 - სანტექნიკის კურსი;**
- **01.05.2021-31.07.2021 - ინგლისური ენის კურსი ბავშვებისთვის;**
- **01.05.2021-31.07.2021 - ინგლისური ენის კურსი.** 2021 წლის 1-ლი მაისიდან შუამიანის

სათემო განათლების ცენტრში განახლდა ინგლისური ენის კურსი. კურსი განკუთვნილია აბიტურიენტებისა და უფროს კლასელთათვის. შეხვედრები ტარდება კვირაში ორჯერ, კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.

- **01.06.2021-31.08.2021 - მასაჟის კურსი.** კურსი გათვლილია მათთვის, ვისაც სურს დასაქმდეს რეაბილიტაციის ცენტრში, კლინიკებში (მედდები), ხოლო პატარა ბავშვის მშობლები სწავლობენ მასაჟის ტექნიკას, რომ თავადვე გაუკეთონ შვილებს სამკურნალო მასაჟი. შეისწავლიან 1) ბავშვის მასაჟი 1-12 თვემდე; 2) ბრტყელტერფიანობა; 3) კისერმრუდობა; 4) ფეხების დეფორმაციები; 5) ბავშვთა სქოლიოზი და კინეზო თერაპია.

- **01.04.2021-30.06.2021 - ქართული ენის კურსი.** კურსი გათვლილია საბავშვი ბაღის აზერბაიჯანელი თანამშრომლებისთვის. აღნიშნულმა კურსმა, საჭიროებიდან გამომდინარე, დიდი დაინტერესება გამოიწვია. კურსს აქტიურად ესწრებოდა 15 ქალი. შეხვედრები ტარდებოდა კვირაში ორჯერ. კურსის მსვლელობის პარალელურად, ეწყობოდა ექსკურსიები, ქართული კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობის მიზნით.

### ტრენინგები

- **01.04.2021-15.07.2021 - ქალთა შრომითი უფლებები.** ქალთა შრომით უფლებებზე ჩატარდა 12 ტრენინგი. შეხვედრებს დაესწრო 30-მდე ქალი, ორ ჯგუფად. ასევე იგეგმება იურისტთან და ფსიქოლოგთან შეხვედრები. **მხარდამჭერი/დონორი: ქალთა ფონდი საქართველოში**

შუამიანის სათემო განათლების ცენტრის ვებზე გვერდის მისამართია - <https://cutt.ly/VmWiMgg>



## ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ვებგვერდის მისამართია -  
<https://cutt.ly/emWo3SG>